ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია *„ 11“ თებერვალი 2019წ.*

ერთის მხრივ **შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი ს.კ. 234237607 მისამართი: მარნეული, რუსთაველის ქ. №73; მომსახურე ბანკი: სს “ლიბერთი ბანკი” ბანკის კოდი: LBRTGE22; ა/ა** GE15LB 0113 1530 0010 9000; **(შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ ჯალაღონიას სახით**

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. “მანჩობები”; ს.კ. 416313180; მისამართი: ქ. რუსთავი, მე–19 მკ/რ–ნი N10 მ/ტ. **მომსახურე ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი TBCBGE22; ა/ა GE76TB 7661 2360 8010 0004** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მარინა სირბილაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17.08.2015წ. ბრძანება #13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება №697 05 თებერვალი 2019წ შპს „ მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის, გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე) გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე (SMP190000657) გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წარმოადგენს: CPV 34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის: საწვავის მაღალი წნევის ტუმბოს შესყიდვა.

შესყიდვა №1 დანართის შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

1. **ხელშეკრულების ღირებულება:**
   1.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს: **6625 (ექვსი ათას ექვსას ოცდახუთ) ლარს.**

   საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

   1.2. მომსახურება მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: **ქ. მარნეული, აღმაშენებლის N27**
2. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი:**
   2.1. მიმწოდებელი ვალდებულია **21.02.2019 წლამდე განახორციელოს** 1.1. პუნქტში აღნიშნული საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურება ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).
   2.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული მომსახურების ღირებულება.
3. **საქონლის მიღება-ჩაბარების წესი:**
   3.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.
4. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი :**
   4.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს **შ.პ.ს. “მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის” ტექნიკური მენეჯერი ლევან გიორგაძე.**
5. **მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია**
   5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება უნაკლო და არ გამოავლენს ხარვეზს.
6. **ანგარიშსწორება**
   6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
   6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება **უნაღდო** გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7. ფასები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

7.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების **10 %-ს**.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.1%** ოდენობით.

10.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. დავების გაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **30.03.2019 წლამდე.**

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
შ.პ.ს. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი" **ს.კ. 234237607; მისამართი:** ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73; **მომსახურე ბანკი:** ს/ს „ლიბერთი ბანკის"-ს მარნეულის ფილიალი. **ბანკის კოდი: LBRTGE22;** ა/ა GE15LB 0113 1530 0010 9000.	**შ.პ.ს. "მანჩობეე"; ს.კ. 416313180; მისამართი:** ქ. რუსთავი, მე–19 მკ/რ–ნი N10 მ/ტ. **მომსახურე ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22;** ა/ა **GE76TB 7661 2360 8010 0004**
დირექტორი:	**დირექტორი:**
_____ /გრიგოლ ჯალაღონია/	_____ /მარინა სირბილაძე/

2019წ. 11 თებერვალს გაფორმებული №7 ხელშეკრულების დანართი №1

№	CPV კოდი:	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	CPV34300000 - ნაწილები დააქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის	საწვავის მაღალი წნევის ტუმბო	ცალი	1	6625,00	6625,00
						6625.00 ლარი

შემსყიდველი

შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „მანჩობეე“

L.L.C. MARNEULI MUNICIPAL AUTOPARK Digitally signed by L.L.C. MARNEULI MUNICIPAL AUTOPARK Date: 2019.02.11 15:29:12 +04'00'

Marina Sirbiladze Digitally signed by Marina Sirbiladze Date: 2019.02.11 11:18:04 -08'00'

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

მარნეული 11.02.2019

შესყიდვის ობიექტის დასახელება: CPV CPV 34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის

მომწოდებელი: შ.პ.ს. „მანჩობები“

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილესთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლთ (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს დირექტორი: გრიგოლ ჯალაღონია

შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს ტექნიკური მენეჯერი: ლევან გიორგაძე

შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს შესყიდვების კოორდინატორი: სოფიო დევდარიანი